ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 128

« 28 » აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩის №24-26-ის მიმდებარედ №01.14.11.030.042 და №01.14.11.030.043 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 12 კვ.მ. და 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთების შპს „ფრენჩ ბეიქერისთვის" (ს/კ: 405072326) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩის №24-26-ის მიმდებარედ №01.14.11.030.042 და №01.14.11.030.043 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 12 კვ.მ. და 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთების შპს „ფრენჩ ბეიქერისთვის" (ს/კ: 405072326) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 1 მარტის №09.09.150 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, აბაშიძის ქუჩა №24-26-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.030.042) და ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №24-26-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.030.043) შპს „ფრენჩ ბეიქერისთვის" (ს/კ: 405072326) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 100 (ოთხი ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი